ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს. ,,სენა ავტო სერვისი", ვასილ ალიხანაშვილი ტელ: 577-41-21-83

საფუძველი: 24.07.2013 წ. №12/1320579-16

მისამართი: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მუხადგვერდის გადასახვევის მიმდებარედ.

საკ.კოდი: №01.72.14.014.620

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – 29.10.2012 წ. №409294 (AR1185306)

ფუნქციური დანიშნულება: საოფისე შენობა და ავტოსალონი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (30.07.2013) დადგინდა:

დარღვევები:

,,1-6" ფასადზე: შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. ,,1-4" მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟის სიმაღლე. ფასადზე ალუკობონდით მოპირკეთება გასწორებულია ერთ ხაზზე. ,,4-5" მონაკვეთში მოკლებულია გარე კიბის საფეხური და გაზრდილია ბაქნის სიგანე 0.5 მ-ით, ასევე გაზრდილია პანდუსის სიგრძე 0.5 მ-ით. ,,6-6" ღერძთან გაზრდილია ფარდაჟალუზის გაბარიტები და მის თავზე მოწყობილია გასახსნელი მექანიზმი.

,,B-A" ფასადზე: შეცვლილია ვიტრაჟების რაოდენობა, გაბარიტები და ნახატი. I სართულზე გაუქმებულია 3 ფრამუგა და კარი, ვიტრაჟში შებრუნებულია კარის მდებარეობა და ფრამუგას მონაცვლებული აქვს ადგილი. გაზრდილია ფარდაჟალუზის სიმაღლე 0.2 მ-ით და მის თავზე მოწყობილია გასახსნელი მექანიზმი. II სართულზე მარცხენა ნაწილში შეცვლილია ფანჯრების რაოდენობა და მდებარეობები. ,,B-B"-,,1-1" ღერძების კვეთაზე მოწყობილია ლითონის სვეტი და ფერმა, რომელზეც მოწყობილია სენდვიჩ-პანელის გადახურვა. მარჯვენა ნახევარში გაზრდილია პარაპეტის სიმაღლე და შეცვლილია მისი ფორმა.

,,6-1" ფასადზე: მოწყობილია წყალშემკრები მილები.

ფასადებზე შეცვლილია ალუკობონდის და სენდვიჩ-პანელის ფაქტურა და ფერი. მოწყობილია კონდიციონერები, ,,2-1" მონაკვეთში ბეტონის საფარი, რომელზეც დამონტაჟებულია ელექტრო დანადგარები.

შეცვლილია შენობის გაბარიტული ზომები, ასევე შეცვლილია ლითონის სვეტების გაბარიტები, მდებარეობა და რაოდენობა. ,,B-B" ღერძის გარეთ გაუქმებულია 60 კვ.მ შენობის ნაწილი. შენობის წინა ნაწილის გარშემო მოწყობილია ბეტონის ცოკოლი და ,,1-1" ღერძის გარეთ ბეტონის საფეხური. დამატებულია შიდა კიბის საფეხურები. +3.00 ნიშნულზე შემცირებულია ანტრესოლის სიგანე, რითიც შემცირებულია მისი ფართი 3კვ.მ-ით. ,,A-A" ღერძთან აწეულია სახურავი 1 მ-ით. სახურავზე გაუქმებულია საზენიტო ფანჯრები.

,,1-1" ღერძის გარეთ გენგეგმაზე გათვალისწინებული ჯიხური შემობრუნებულია და შეცვლილია მისი გაბარიტები, ასევე შემცირებულია სარეკლამო სტენდის გაბარიტები. ,,6-6" ღერძის გარეთ მოწყობილია მიმართულების მაჩვენებელი. ,,A-A" ღერძის გარეთ შეცვლილია დაბალი კაპიტალური კედლის მდებარეობა.

შეამოწმა: დ.მანჯგალაძე